იდენტობა და განგრძობადი არსებობა ჰიუმის „ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ“-ის მიხედვით

პაპუნა ჯილავდარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ცხადაძე პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივესიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

პაპუნა ჯილავდარი

15.06.2023

აბსტრაქტი

იდენტობა არის ის, რითიც ჩვენ ცვალებად და დანაწევრებულ რეალობას ერთიანობასა და სტაბილურობას ვანიჭებთ, თუმცა ჰიუმი, თავისი სკეპტიკური ფილოსოფიური თვალით, იმის ჩვენებას შეეცდება, რომ იდენტობა ჩვენი წარმოსახვის ფიქციაა; იგი ფრიად სასარგებლო, თუმცა მაინც ცდომილი იდეაა. ეს იდეა ჩვენი მენტალური აპარატის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სხვა ფიქციათა ბაზისი ხდება და სწორედ მისი გამოისობით აღმოცენდება ჩვენში ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის გაგებები, როგორიცაა ობიექტთა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობა და ჩვენი პერსონალური იდენტობა. ჩემი ინტერპრეტაციით, ჰიუმი ახლოს მიდის ფსიქოლოგიური მექანიზმების ახსნასთან, რომელთა საფუძველზეც ჩვენ ვანსხვავებთ ობიექტთა ვლენას ჩვენს ცნობიერებაში თავად ამ ობიექტებისაგან, თუმცა იგი ვერ ახერხებს ახსნას ის ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც პროდუცირებენ ჩვენი თვით-იდენტური „მე“-ს იდეას, რის გამოც მისი საკმაოდ საინტერესო ფილოსოფიური ანალიზი საბოლოო მიზანს ვერ აღწევს.

საძიებო სიტყვები: იდენტობა, განგრძობადი არსებობა, პერსონალური იდენტობა, მიზეზ-შედეგობრიობა.

Abstract

Identity is something through which we grant unity and stability to our changing and differentiated reality but Hume, through his skeptical lenses, intends to show that identity is a fiction of our faculty of imagination; It is quite beneficial, although a mistaken idea. It becomes the ground for our other fictitious ideas, so that our mental apparatus continue functioning, and based on it, other fundamental notions emerge, such as objects existing outside of us and personal identity. Based on my interpretation, he comes close to explaining psychological mechanisms responsible for us differentiating object's appearance in our consciousness and objects themselves. However, he fails to explain the psychological mechanisms which yield the idea of self-identical self and, for this reason, his interesting philosophical analysis falls short of achieving its goal.

Keywords: Identity, continued existence, personal identity, causality.